

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- ა) შპს „მონ იქსი“ ს/კ 405151231 (შემდგომში კომპანია) მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 24გ, ბინა 242, ელ. ფოსტის მისამართი: info@monx.ge
- ბ) კლიენტი - ორგანიზაცია, რომელიც დარეგისტრირებულია შპს „მონ იქსი“-ს ვებ გვერდზე (www.monx.ge) ან ფიზიკური პირი, რომელიც დარეგისტრირებულია შპს „მონ იქსი“-ს ვებ გვერდზე (www.monx.ge) და შეუსრულდა 18 წელი.
- გ) ვალუტა - ნებისმიერი ქვეყნის ფულადი ერთეული.
- დ) კონვერტაცია - ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულის გადაცვლა სასურველი ქვეყნის ფულად ერთეულში.
- ე) ვალუტის გაცვლითი ოპერაცია - კლიენტის სავალუტო ანგარიშიდან თანხის გადმორიცხვის სანაცვლოდ კლიენტისთვის სასურველი ვალუტის ჩარიცხვა მის მულტისავალუტო საბანკო ანგარიშზე.
- ვ) გაცვლითი კურსი - ერთი ქვეყნის ფულადი ერთეული გამოსახული სხვა ქვეყნის ფულად ერთეულებში ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების დროს.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 კომპანია კლიენტს გაუწევს ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და ვალუტის გაცვლითი ოპერაციებით მომსახურებას. ვალუტის გაცვლით ოპერაციაში იგულისხმება კლიენტის ერთ-ერთი მულტისავალუტო ანგარიშიდან თანხის გადმორიცხვის სანაცვლოდ კლიენტისთვის სასურველი ვალუტის ჩარიცხვა მის მულტისავალუტო საბანკო ანგარიშზე.

3. ვალუტის გაცვლითი ოპერაციის განხორციელება (კონვერტაცია)

- 3.1. ვალუტის გაცვლითი ოპერაციის განხორციელება შესაძლებელია სამუშაო დღეებში 10:00-დან 18:00 საათამდე.
- 3.2. კლიენტი ვალდებულია ვალუტის გაცვლითი ოპერაციების ჩატარებისათვის დააკმაყოფილოს კომპანიაში დადგენილი ზოგადი წესები (განაცხადის წარდგენის ვადები, შევსების წესები და სხვა წესები, რაც განთავსებულია შპს „მონ იქსი“-ს ვებ გვერდზე (www.monx.ge) და გადაიხადოს აღნიშნული ოპერაციებისათვის დადგენილი საკომისიო გადასახადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 3.3. ვალუტის გაცვლის მომსახურებით შეიძლება ისარგებლოს ნებისმიერმა ორგანიზაციამ და ფიზიკურმა პირმა, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი.
- 3.4. ვალუტის კონვერტაციისთვის კლიენტი ვალდებულია გაიაროს ონლაინ რეგისტრაცია შპს „მონ იქსი“-ს ვებ-გვერდზე.

- 3.5. ვალუტის გაცვლით ოპერაციას კომპანია შეასრულებს კლიენტის განაცხადის შესაბამისად, კომპანიაში დადგენილი, განაცხადის შევსების მომენტში ვებ გვერდზე დაფიქსირებული გაცვლითი კურსით.
- 3.6. კომპანია იღებს ვალდებულებას ჩაატაროს ვალუტის გაცვლითი ოპერაცია კომპანიის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის შემდეგ და ჩარიცხოს კლიენტის ანგარიშზე კლიენტის მიერ ნაყიდი თანხა (ვალუტა) განაცხადში მითითებულ ვალუტირების თარიღში.
- 3.7. კონვერტირებული თანხა კლიენტს ჩაერიცხება იმ ანგარიშზე, საიდანაც განხორციელდა თანხის გადმორიცხვა შპს „მონ იქსი“-ს სანაკო ანგარიშზე.
- 3.8. იმ შემთხვევაში თუ შპს „მონ იქსი“-ს ანგარიშზე გადმორიცხული თანხა არ იქნება საკმარისი მოთხოვნილი ოდენობის სხვა ფულადი ერთეულის შესაძენად, კლიენტს მის ანგარიშზე ჩაერიცხება იმ ოდენობის კონვერტირებული თანხა, რა ოდენობისთვისაც იქნება საკმარისი კლიენტის მიერ გადმორიცხული თანხა.
- 3.9. დასაკონვერტირებელი თანხის ოდენობა შესაძლებელია დაექვემდებაროს განსაზღვრულ ლიმიტს, რის შესახებაც შპს „მონ იქსი“-ს ვებ გვერდზე იქნება განთავსებული დამატებითი ინფორმაცია.
- 3.10. ვალუტის კონვერტაციის ოპერაცია შესრულებულად ითვლება კომპანიის მიერ კლიენტის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვისთანავე და არ ექვემდებარება გაუქმებას.

4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

- 4.1. შპს „მონიქსი“ უფლებამოსილია არ შეასრულოს კლიენტის მიერ მოთხოვნილი კონვერტაციის მოთხოვნა და შეუსრულებლობის შესახებ ნებისმიერი ფორმით შეატყობინოს კლიენტს, იმ შემთხვევაში თუ:
 - 4.1.1. ვერ ხერხდება კლიენტის სრულფასოვანი იდენტიფიკაცია;
 - 4.1.2. განაცხადი შედგენილია დადგენილი წესის დარღვევით ან შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას;
 - 4.1.3. შპს „მონ იქსი“-ს საბანკო ანგარიშზე გადმორიცხული თანხა არ არის საკმარისი განცხადში მითითებული (სასურველი) ოდენობის ფულადი ერთეულის ყიდვისთვის.
- 4.2. კლიენტი ვალდებულია, კომპანიას მიაწოდოს ინფორმაცია მისამართის, ტელეფონის ნომრის ან სხვა საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ.
- 4.3. კომპანია უფლებამოსილია დაუკავშირდეს კლიენტს და გამოყენოს დამატებითი კითხვები კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 5.1. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად და დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

- 5.2. კომპანია პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე კონვერტირებული თანხის დროულად გადარიცხვის შეუსრულებლობისათვის, რაც კომპანიის ბრალით არის გამოწვეული.
- 5.3. კომპანია პასუხს არ აგებს ვალუტის გაცვლითი ოპერაციის დროულად განუხორციელებლობისათვის, რაც გამოწვეულია კლიენტის ქმედებით დაშვებულ შეცდომაზე ან კომპანიისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი მიზეზით.
- 5.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თუ ეს გარემოებები გამოწვეულია დაუძლეველი (გადაულახავი) ძალის პირდაპირი ზემოქმედებით, კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტით ან ქმედებით და სხვა (ფორს-მაჟორული გარემოებები). ფორს-მაჟორული გარემოების დადგომისას მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ამის შესახებ მეორე მხარეს. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

6. ინფორმაცია კლიენტის შესახებ და კონფიდენციალურობა

- 6.1 კლიენტი ვალდებულია განაცხადოს შევსებისას (ონლაინ რეგისტრაციისას) კომპანიას მიაწოდოს უტყუარი, ზუსტი, სრული და ამომწურავი ინფორმაცია. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიას ან/და შეიტანოს ცვლილება მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების, საკონტაქტო ინფორმაციის, სტატუსის ან ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რაც ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედების სწორად და სრულად განხორციელებისთვის არის საჭირო.
- 6.2. კომპანია ვალდებულია დაიცვას კლიენტთან დაკავშირებული საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება (კონფიდენციალობა), რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კლიენტთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ან თუ საქმე ეხება ისეთ ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებთაც არ ილახება კლიენტის ინტერესები. კომპანიის მიერ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ძალაშია ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც.
- 6.3. კომპანია პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ კომპანიისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგებზე.

7. ხელშეკრულების მოქმედება და სხვა პირობები

- 7.1 ხელშეკრულება ძალაშია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ონლაინ რეგისტრაციის გავლის შემდგომ, ხელშეკრულების დადასტურებისა და კომპანიის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომენტიდან და მოქმედებს კლიენტის ანგარიშზე კონვერტირებული თანხის ჩარიცხვამდე.

- 7.2. კომპანიას უფლება აქვს შეცვალოს ამ ხელშეკრულებაში აღწერილი მომსახურების პირობები, რაც ძალაში შევა ცვლილებების ვებ გვერდზე (www.monx.ge) განთავსებისთანავე.
- 7.3. ნებისმიერი შეტყობინების განხორციელების მიზნით, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს წერილობითი ან კომუნიკაციის სხვა საშუალებები, მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა.
- 7.4. იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 7.5. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.
- 7.6. ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა ან/და მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.